საქართველოს უზენაესი სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსკ- 01-21 **14 ივნისი, 2021 წელი.**
№სსკ-01-21 ქ-ი **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: მერაბ გაბინაშვილი
მოსამართლეები: მამუკა ვასაძე, ვლადიმერ კაკაბაძე

სხდომის მდივანი - ნ თ-ე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვა

საჩივრის ავტორი - ი ქ-ი

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები - თ გ-ე, ნ მ-ე, დ ა-ე

გასაჩივრებული განკარგულება – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების გაუქმება და საბჭოს წევრებისათვის კანდიდატთა ხელახალი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი შეფასების, სათანადო დასაბუთების დავალება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. გასაჩივრებული განკარგულების შინაარსი:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად, რომელშიც კანდიდატად მონაწილეობდა ი ქ-იც.

1.2. საბჭომ განახორციელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (შემდგომში - ორგანული კანონი) განსაზღვრული პროცედურები, მათ შორის - მოიძია ინფორმაცია კანდიდატთა შესახებ, ჩაატარა კანდიდატების საჯარო მოსმენები (ი ქ-ის საჯარო მოსმენა გაიმართა 2021 წლის 5 მარტს), რის შემდეგაც 2021 წლის 28 მაისს გამოქვეყნდა საბჭოს წევრთა შეფასებები პროცედურაში მონაწილე ყველა, 33 კანდიდატთან დაკავშირებით.

1.3. აღნიშნულ შეფასებების საფუძველზე, საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა საუკეთესო შეფასებების მქონე 9 კანდიდატი: გ გ–ი, გ- ა-ე, ლ თ-ე, ქ მ–ი, გ შ-ი, რ ნ-ა, ბ ს-ა, ე ზ-ე და ლ ქ–ი. შესაბამისად, პროცედურის შემდგომი ეტაპის მიღმა აღმოჩნდა დანარჩენი 24 კანდიდატი.

2. საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

იმის გამო, რომ ი ქ–ი აღმოჩნდა პროცედურის შემდგომი ეტაპის მიღმა, მან 2021 წლის 8 ივნისს საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას (შემდგომში - პალატა), საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების გაუქმების და საბჭოს წევრებისათვის კანდიდატთა ხელახალი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი და დასაბუთებული შეფასების დავალების მოთხოვნებით. ეს მოთხოვნები შემდეგნაირად დაასაბუთა:

2.1. გასაჩივრებული განკარგულების დაუსაბუთებლობის შესახებ:

2.1.1. გასაჩივრებული განკარგულება არ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის სტანდარტებს. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, ცხადია, რომ საბჭოს და მის ცალკეულ წევრებსაც ევალებოდათ - წერილობით დაესაბუთებინათ თითოეული შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებაც. ამიტომაც, ასევე ნათელია, რომ კანდიდატს აქვს უფლება - საბჭოს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სწორედ დაუსაბუთებლობის მოტივით; პალატამ კი აუცილებლად უნდა შეაფასოს გასაჩივრებული განკარგულება სწორედ დასაბუთებულობის თვალსაზრისითაც.

2.1.2. ის ფაქტი, რომ ორგანული კანონი ითვალისწინებს კანდიდატთა რეიტინგული სიის შედგენას, გულისხმობს, რომ საბჭოს წევრებს თითოეული კანდიდატი უნდა შეეფასებინათ მისი სხვა კანდიდატებთან შედარების გზით, რათა გამოვლენილიყო 9 საუკეთესო, კვალიფიციური კანდიდატი, რაც არ განხორციელებულა.

2.1.3. საბჭოს წევრთა შეფასებები უმეტესწილად ზოგადი ხასიათისაა (მაგ: ნ ქ-ს შეფასებები), რადგან არ არის კონკრეტულად ახსნილი, თუ რატომ ჩაითვალა მომჩივნის პასუხები

არასრულად, არაზუსტად ან ამა თუ იმ საკითხის არცოდნად, ან რატომ ევალებოდა კანდიდატს სამართლის ნორმების ზეპირად ცოდნა (როგორც ამას მოითხოვდა, მაგალითად, დ გ-ი).
2.1.4. საბჭოს წევრებმა (მაგ: ლ გ–ი) მიუთითეს, რომ მომჩივანი არ იცნობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, თუმცა ამას ასაბუთებენ მხოლოდ და მხოლოდ მომჩივანისავე განმარტებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას უკეთ იცნობს, ვიდრე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.
2.1.5. საბჭოს წევრმა დ გ––ა აშკარად არასწორ ფაქტებზე დაყრდნობით შეაფასა მომჩივანი, მაგალითად:
2.1.5.1. მან მიუთითა, რომ ი ქ–ს არათუ მოსამართლედ, არამედ - საერთოდ სასამართლო სისტემაში მუშაობის არავითარი გამოცდილება გააჩნია; არადა, მომჩივანი უკვე 9 წელია მუშაობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;
2.1.5.2. მან მომჩივანს მიაწერა სამართლებრივ ნაშრომში სასვენი ნიშნების შეცდომით და რთული წინადადებების გამოყენების ფაქტები, მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალში გამოქვეყნებამდე ეს ნაშრომი შესწორდა სტილისტის მიერ და მოექცა სათანადო ფორმატში.
2.1.6. საუკეთესო 9 კანდიდატთან დასმული შეკითხვების და მიღებული პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათთვის არ დაუსვამთ რთული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვები, კერძოდ:
2.1.6.1. გ-ის დასმული კითხვების აბსოლუტური უმრავლესობა იყო კანდიდატის მოსაზრებებთან დაკავშირებული; შემფასებლებს მისთვის არ დაუსვამთ არც ერთი კითხვა კანონის კონკრეტული მოწესრიგების საკითხზე და, უფრო მეტიც, კითხვის დასმისას ისინი კანდიდატს განუმარტავდნენ საკითხს;
2.1.6.2. ლ თ-ე ძირითადად ვერ პასუხობდა, ან ზედაპირულად პასუხობდა დასმულ კითხვებს; თუმცა, კანდიდატის მიერ სამართლის ცოდნა უმეტეს შემთხვევაში შეფასდა 18-20 ქულით. შემფასებლებს ფაქტობრივად არ მიუთითებიათ და გაუთვალისწინებიათ კანდიდატის პასუხები, მაგალითად: დ. გ-ი, რომელმაც კანდიდატს უმაღლესი ქულა დაუწერა, შემოიფარგლა შემდეგი შეფასებით: „კანდიდატი ძალიან კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.“ ნ. ქ-ს მითითებით, ე.წ აგენტ პროვოკატორის არსის თაობაზე დასმულ კითხვაზე, კანდიდატმა მიმოიხილა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და შეეხო პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს; არადა, კანდიდატს არ უმსჯელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე და ვერც იმსჯელებდა, რამდენადაც ასეთი პრაქტიკა საერთოდ არ არსებობს.
2.1.6.3. გ- ა-ც დასმულ კითხვებს არარელევანტურად, არასრულად და ზედაპირულად პასუხობდა (მაგ: სათანადოდ ვერ განმარტა საკონსტიტუციო კონტროლის არსი; უპასუხოდ დატოვა შეკითხვის ნაწილი ადამიანის უფლებათა სამართლის უშუალოდ მოქმედების შესახებ და ა.შ.).
2.1.7. მომჩივანმა, პალატის 2021 წლის 11 ივნისის სხდომაზე, წერილობით ჩამოყალიბებული საჩივრის მხარდაჭერასთან ერთად, გააჟღერა დამატებითი პრეტენზიები იმის შესახებ, რომ: ა) საბჭომ არ გამოითხოვა მომჩივნის მიერ მითითებული ერთ-ერთი იმ რეკომენდატორის მოსაზრება, რომელიც კარგად იცნობს მომჩივანს და შეეძლო წონადი ინფორმაციის მიწოდება საბჭოსათვის, მომჩივნის პირადი და პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ; ბ) მიუხედავად

პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე შეზღუდვებისა და მომჩივნის თხოვნისა, საბჭომ მომჩივანს ელექტრონული ფოსტით არ გადაუგზავნა მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია, გაცნობისა და შესაძლო დამატებითი განმარტებების (მტკიცებულებების) წარსადგენად.

2.2. მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ:

საბჭოს წევრებმა კანდიდატები შეაფასეს პირადი შეხედულებით: ვინც საბჭოს ნდობას უცხადებდა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას მიიჩნევდა წარუვალ ჭეშმარიტებად, ის კანდიდატები შეფასდნენ მაღალი ქულებით; ხოლო მომჩივანი, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა საბჭოს საქმიანობა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, შეფასდა დაბალი ქულებით, რაც განსხვავებული აზრისადმი შეუწყნარებლობას ადასტურებს.

2.3. საბჭოს წევრთა მიკერძოების შესახებ:

საბჭოს წევრები მიკერძოებულნი იყვნენ მოსამართლე კანდიდატების მიმართ, რადგან შერჩეული 9-ვე კანდიდატი მოქმედი მოსამართლეა; შესაბამისად, არ ჰქონდათ მიმღებლობა ისეთი კანდიდატების მიმართ, რომელიც რაიმე ფორმით მაინც (მოსამართლის თანაშემწეები, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები და ა.შ.) არ იყვნენ დაკავშირებულნი საერთო სასამართლოების სისტემასთან.

2.4. პროცედურის სხვა არსებითი დარღვევების შესახებ:

2.4.1. საბჭოს წევრებმა კანდიდატებს დაუსვეს სხვადასხვა სირთულის შეკითხვები, რითაც დაარღვიეს ყველა კანდიდატისადმი თანაბარი მოპყრობის პრინციპი და არაკომფორტული გარემო შეუქმნეს მომჩივანს, მისი განსხვავებული და კრიტიკული მოსაზრებების გამო.

2.4.2. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საბჭოს წევრები შეკითხვებს კითხულობდნენ, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს ვარაუდს, რომ მათ ეს შეკითხვები წინასწარ და წერილობით მოუმზადა საბჭოს აპარატმა. თუ ეს ასეა, აუცილებლად გამოსაკვლევი იყო საკითხი - უზრუნველყოფილი იყო თუ არა ამ შეკითხვების შინაარსის კონფიდენციალურობა და ხომ არ იყო შეკითხვები გამჟღავნებული სხვა, საბჭოს წევრებისათვის მისაღები კანდიდატებისათვის, რადგან მათ მიერ გაცემული პასუხებიც აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას.

3. საბჭოს პოზიცია:

საბჭოს წარმომადგენლებმა საჩივარი არ ცნეს და მოითხოვეს საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების უცვლელად დატოვება. საკუთარი პოზიცია შემდეგნაირად დაასაბუთეს:

3.1. ორგანული კანონი არ ითვალისწინებს საბჭოს წევრთა ვალდებულებას - კანდიდატთა შეფასებები განახორციელონ მათი ურთიერთშედარების შედეგად. ეს არ არის კანონის ხარვეზი, არამედ - საკითხის შეგნებული, რაციონალური გადაწყვეტაა, რადგან შეუძლებელი და არაგონივრულია პროცედურაში მონაწილე მრავალი კანდიდატის შეფასება ისე, რომ ის შედარდეს ყველა დანარჩენ კანდიდატს.

3.2. ყველა კითხვა, რომელიც იყო დასმული კონკურსანტისათვის, კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით შეფასების მიზანს ემსახურებოდა. მაგალითად, ორგანული კანონი ,,სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით შეფასების მიზნებისათვის, ითვალისწინებს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სამართლის ცოდნის დონის შეფასებას; შესაბამისად, საბჭოს წევრებს ამ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი რომ შეეფასებინათ, ცალსახად უწევდათ სამართლებრივი კითხვების დასმა, პროცედურაში სწორედ თვითნებობის გამოსარიცხად და დასაბუთებული შეფასების განსახორციელებლად.

3.3. მომჩივანი აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ, ზოგიერთი კანდიდატისგან განსხვავებით, მას სამართლის ყველა დარგიდან დაუსვეს კითხვები. კანდიდატებისთვის განსხვავებული შეკითხვების დასმა აპრიორი არ ადასტურებს მათ არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას და, მით უფრო, დისკრიმინაციულ მოპყრობას: იმისათვის, რათა მიღწეულიყო თითოეული კანდიდატის სრული, ადეკვატური შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, კანდიდატს გასაუბრების დაწყებამდე საბჭოს წევრები ეკითხებოდნენ - სამართლის რომელი დარგი იყო კანდიდატისათვის უფრო ნაცნობი. მომჩივანსაც დაესვა ამგვარი კითხვა, რაზეც მომჩივნის პასუხი იყო, რომ მისი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე სამართლის ყველა დარგთან ჰქონდა შეხება და, შესაბამისად, შეეძლო ცოდნის გამოვლენა სამართლის ყველა დარგიდან. სწორედ ამან განაპირობა სამართლის სხვადასხვა დარგიდან მისთვის კითხვების დასმა, ძირითადი პრინციპების და ცნებების ცოდნის და არამც და არამც კანონის რომელიმე დებულების ზეპირი ცოდნის გამოსარკვევად.

3.4. მომჩივანი მიიჩნევს, რომ ძალიან კარგად პასუხობდა და ასაბუთებდა დასმულ კითხვებზე პასუხებს, ხოლო სხვა კანდიდატები ნაკლებად კომპეტენტურად პასუხობდნენ შეკითხვებზე. ეს მისი სუბიექტური შეფასებაა და იგი, როგორც დაინტერესებული პირი, ობიექტური შეფასების შესაძლებლობას მოკლებულია. საჩივრის ავტორის ძირითადი მოთხოვნა გულისხმობს ყველა კანდიდატის თავიდან შეფასებას, რაც საპროცესო სამართალს ეწინააღმდეგება: ყველა პირისთვის უზრუნველყოფილია სასამართლო წესით უფლების დაცვა და სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება იმ შემთხვევაში, თუ მას მიმართავს პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი უფლება დაირღვა (დისპოზიციურობის პრინციპი). განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის წარდგენის გზით, კანდიდატმა შეიძლება დაიცვას მხოლოდ საკუთარი ინტერესი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს დავალება (მაგალითად, შესაბამისი ხელშეკრულებით), რაც მას აძლევს უფლებას, სხვა პირის სახელით წარდგეს სასამართლოში. იმ კანდიდატებს, რომლებიც ვერ აღმოჩდნენ საუკეთესოთა სიაში, კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით საჩივრებით არ მიუმართავთ პალატისათვის და ამით დაეთანხმნენ საბჭოს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ბუნდოვანია, რას ეფუძნება საჩივრის ავტორის ამგვარი პოზიცია. აქ ცალსახად ის არასათანადო მოსარჩელეა, იმიტომ, რომ არ შეუძლია იდავოს სხვა პირთა უფლებებზე მათი თანხმობის გარეშე.

3.5. დისკრიმინაციასთან მიმართებით, კონკურსანტი უთითებს ორ ძირითად ელემენტზე:

3.5.1. მის მიმართ ტექნიკური ხასიათის კითხვები დაისვა მას შემდეგ, რაც მან კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა გარკვეულ საკითხების მიმართ. თუმცა, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მომჩივანს კითხვები დაუსვეს მის მიერ დასახელებულ საკითხებზე მსჯელობამდეც და შემდგომაც, ამიტომ ლოგიკური კავშირი მის მიერ კრიტიკული შეხედულების გამოთქმასა და კითხვების დასმას შორის არ ვლინდება.

3.5.2. თანაბარი მოპყრობის პრინციპი კანდიდატებს შორის არ იყო უზრუნველყოფილი, რადგან ცალკეულ კანდიდატებს უსვამდნენ კითხვებს ცალკეული სპეციალიზაციიდან და ეს გარემოება მის მიმართ ძირითადად გამოვლინდა გასაუბრებაზე შესვენების შემდგომ. უნდა აღინიშნოს, რომ შესვენება გამოცხადდა უშუალოდ კანდიდატის თხოვნის საფუძველზე.

3.6. ი. ქ-ს მოსაზრება მიკერძოებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, რადგან მიკერძოების ფაქტი ობიექტური და სუბიექტური ელემენტების არსებობით დგინდება; ამგვარი ელემენტების არსებობას, ანუ საბჭოს მიერ წინასწარ შექმნილი უარყოფითი განწყობის არსებობას საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს.

3.7. პროცედურის დარღვევაზე კონკურსანტის მიერ გამოთქმული მოსაზრება არის მცდარი და დაუსაბუთებელი. საბჭოს წევრებს აპარატი, ბუნებრივია, უწევს ტექნიკურ დახმარებას და

ეს არის კანონით გათვალისწინებული რიგი ფუნქციებისა, მათ შორის - უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების პროცესში. ამისთვის ფუნქციონირებს სპეციალური დეპარტამენტი - ,,მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტი", რომელის საქმიანობა სწორედ ამგვარი, ტექნიკური ხასიათის დახმარების გაწევაა, რაც გამოიხატება ინფორმაციის მოძიებით, დამატებითი დოკუმენტის გამოთხოვით სხვადასხვა ორგანოებიდან და ა.შ. მაგრამ ტექნიკური დახმარება არ გულისხმობს ტესტებისა და კითხვების შედგენას. გაუგებარია, რას ეფუძნება მომჩივნის ამგვარი პოზიცია. კითხვების შინაარსი სრულად საბჭოს დისკრეციაა და წევრები თავად უზრუნველყოფენ, აპარატის დახმარების გარეშე, კითხვების ფორმირებას, შესწავლილი დოკუმენტაციის გაანალიზების საფუძველზე. სრულიად ბუნდოვანია, რა გარანტიების არსებობას ითხოვს საჩივრის ავტორი ანდა რა პროცედურულ დარღვევაზე მიუთითებს.

3.8. საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული, კონკრეტულ ნორმაზე დაფუძნებული, არგუმენტირებული მსჯელობა, ი. ქ–ი მიუთითებს მხოლოდ თავის სუბიექტურ წარმოდგენებზე და შეხედულებებზე, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების მითითების გარეშე. შესაბამისად, საჩივარი არის დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

4. საჩივრის დასაშვებობის საკითხი:

4.1. ორგანული კანონის 34^3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, ამ კანონის 34^1 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად მიღებული საბჭოს განკარგულება პალატაში გაასაჩივროს, თუ იგი მონაწილეობდა იმავე პუნქტით განსაზღვრულ კანდიდატების შერჩევის შესაბამის ეტაპზე და მიაჩნია, რომ:

ა) კანდიდატების შერჩევის პროცესში საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო;

ბ) კანდიდატების შერჩევის პროცესში საბჭოს წევრის მიდგომა დისკრიმინაციული იყო;

გ) საბჭოს წევრმა გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

დ) ინფორმაცია, რომელიც ამ განკარგულებას/წარდგინებას საფუძვლად დაედო, არსებითად მცდარია და ამის დასადასტურებლად კანდიდატმა სათანადო მტკიცებულებები წარადგინა;

ე) კანდიდატების შერჩევის პროცესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით ჩატარდა, რასაც შეეძლო საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა მოეხდინა.

4.2. საჩივრის შინაარსიდან გაირკვა, რომ ი ქ–მა საკუთარი მოთხოვნები, ფაქტობრივად, დააფუძნა ორგანული კანონის 34^3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა", ,,ბ" და ,,ე" ქვეპუნქტებს, მიუთითა რა, რომ საბჭოს წევრებმა, იყვნენ რა მიკერძოებულნი და, სხვა კანდიდატებთან შედარებით, განსხვავებულ მდგომარეობაში ჩააყენეს მომჩივანი, არსებითად დაარღვიეს პროცედურის მარეგულირებელი ნორმები, რასაც შედეგად მოჰყვა მომჩივნის დაუსაბუთებელი შეფასებები და მისი გამორიცხვა პროცედურის შემდგომი ეტაპიდან. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ მომჩივანი ერთსა და იმავე ფაქტებს მიიჩნევს როგორც დისკრიმინაციის, ისე მიკერძოების, შეფასების დაუსაბუთებლობის და პროცედურის

არსებითი დარღვევის დამადასტურებელ გარემოებებად (მაგალითად, საბჭოს საქმიანობის კრიტიკული შეფასების შედეგად დაწერილ დაბალ ქულებს მომჩივანი მიიჩნევს როგორც მისდამი დისკრიმინაციული მოპყრობის, ისე - შეფასებათა დაუსაბუთებლობის დამადასტურებელ გარემოებად და ა.შ.).

4.3. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი აკმაყოფილებდა ორგანული კანონით განსაზღვრულ დასაშვებობის მოთხოვნებს და არსებითად განიხილა იგი.

5. მომჩივნის შუამდგომლობების განხილვა:

5.1. პალატის 2021 წლის 11 ივნისის სხდომაზე გამოცხადებულმა ი- ქ–მა, საჩივრის არსებითად განხილვამდე, პალატას წარუდგინა შუამდგომლობები:

ა) მისცემოდა საქმეში არსებული მტკიცებულებების, მათ შორის - კანდიდატთა ინტერვიუების ვიდეო-ჩანაწერების სათანადოდ გამოკვლევის შესაძლებლობა;

ბ) მოწმის სახით დაკითხულიყვნენ საბჭოს წევრები, მათი შეფასებების ზუსტი შინაარსის გასარკვევად, აგრეთვე - იმ გარემოების დასადგენად, როგორ მომზადდა კანდიდატთათვის დასასმელი კითხვები.

5.2. პალატის 2021 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებებით, შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა, შემდეგი მოტივებით:

ა) საქმეში არსებული მტკიცებულებების შინაარსზე მსჯელობა ისედაც უზრუნველყოფილი იყო მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით; ხოლო კანდიდატთა ინტერვიუების ვიდეო-ჩანაწერების პალატის სხდომის მიმდინარეობისას გამოკვლევა მიზანშეწონილი არ იყო, რადგან ეს ჩანაწერები იყო გამოქვეყნებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი, მისი შინაარსი მხარეებისათვის და პალატისათვის უკვე ცნობილი იყო, შესაბამისად - მხარეების მიერ პალატისათვის მხოლოდ საკუთარი მოსაზრებების წარდგენაც სავსებით უზრუნველყოფდა საქმის ყოველმხრივ, ობიექტურ და სამართლიანად განხილვას;

ბ) საბჭოს წევრთა შეფასებები, წერილობითი მტკიცებულებების სახით, საქმეში უკვე იყო წარმოდგენილი; ამიტომ, მათი შინაარსის დასადგენად და შეფასებათა დასაბუთებულობის განსაზღვრისათვის შემფასებელთა მოწმის სახით დაკითხვა აღარ იყო აუცილებელი.

6. საჩივრის არსებითი განხილვა:

პალატამ, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, დაასკვნა, რომ საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების გაუქმების და საბჭოს წევრებისათვის კანდიდატთა ხელახალი შეფასების დავალების შესახებ საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს. პალატამ ცალ-ცალკე იმსჯელა მომჩივნის მიერ წარმოდგენილ საფუძვლებთან დაკავშირებით.

6.1. გასაჩივრებული განკარგულების დასაბუთებულობის შესახებ:

6.1.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით, რომლის ანალიზით დგინდება, რომ კანდიდატთა შეფასების სისტემა ორგვარია: ა) სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატთა შეფასება; ბ) სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატთა შეფასება.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ი ქ–ი შეფასდა სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატთა შეფასების სისტემით, რაც მომჩივანს სადავოდ არ გაუხდია. ამიტომ, გასაჩივრებული განკარგულების კანონიერების შესამოწმებლად, პალატამ ყურადღება გაამახვილა ორგანული კანონის იმ ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავდა საკანონმდებლო ჩარჩოს სწორედ სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატთა შეფასებისათვის.

6.1.2. ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი უნდა შეფასებულიყო შემდეგი წესით:
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, უნდა შემდგარიყო დასკვნა ორგანული კანონის 36[3] მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე; ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, კანდიდატი უნდა შეფასებულიყო ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლების მიხედვით და მათ ქულები უნდა მინიჭებოდათ იმავე მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით, ისე, რომ თითოეული ქულა უნდა დასაბუთებულიყო.
6.1.3. პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ ორგანული კანონის არც აღნიშნულ და არც სხვა ნორმაში არსად არის გათვალისწინებული საბჭოს წევრთა ვალდებულება - კანდიდატი შეეფასებინათ სხვა, დანარჩენ ყველა კანდიდატთან ცალ-ცალკე შედარების საფუძველზე. მთავარია, რომ საბჭოს წევრს შეეფასებინა თითოეული კანდიდატი ორგანული კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების და მათი მახასიათებლების მიხედვით, კანდიდატის შესახებ სხვადასხვა წყაროდან (მათ შორის - საჯარო მოსმენის შედეგად) მოპოვებული ინფორმაციის ობიექტური ანალიზის საფუძველზე. ამიტომ, მომჩივნის მოსაზრება კანდიდატთა ურთიერთშედარების პრინციპის დაუცველად განხორციელებული შეფასებების უკანონოდ, დაუსაბუთებლად მიჩნევის შესახებ არის უსაფუძვლო და გაზიარებული ვერ იქნება.
6.1.4. ორგანული კანონის ნორმები, გარდა ზოგადი მითითებისა, რომ შეფასებები უნდა იყოს დასაბუთებული, არ განსაზღვრავს თავად შეფასების სტრუქტურას, ფორმას; ამდენად, საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ფართო დისკრეციით - თავად განსაზღვროს შეფასების შინაარსი. ზოგიერთმა წევრმა, შესაძლოა, მიზანშეწონილად მიიჩნიოს - დაწვრილებით აღწეროს კანდიდატის შესახებ არსებული ინფორმაციის შინაარსი, მათ შორის - დასმული კითხვების და კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების შინაარსი; ზოგიერთი წევრისათვის კი საკმარისი აღმოჩნდეს მხოლოდ კანდიდატის შესახებ არსებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად შექმნილი შთაბეჭდილების და ამ შთაბეჭდილების შესატყვისად ქულათა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ მსჯელობის გადმოცემა. მთავარია, რომ შეფასებიდან ირკვეოდეს - რამ განაპირობა კანდიდატისათვის ამა თუ იმ ქულის მინიჭება.
6.1.5. სწორედ ამიტომ, ის ფაქტი, რომ საბჭოს ზოგიერთი წევრის შეფასება ზოგადი ხასიათისაა (მაგ: ,,კანდიდატმა ვერ გამოავლინა კონსტიტუციური სამართლის სიღრმისეული ცოდნა“ და ა.შ.), ხოლო ზოგიერთი წევრის შეფასება მოიცავს გარკვეულ კონკრეტიკას (მაგ: ,,კანდიდატმა სრულად ვერ უპასუხა შეკითხვას სახელმწიფო მოსამსახურეების, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების შესახებ“), აპრიორი არ გულისხმობს საბჭოს წევრთა მიერ კანდიდატებთან დაკავშირებით დასაბუთებული შეფასებების განხორციელების შესახებ კანონისმიერი ვალდებულების უგულებელყოფას. თუ საბჭოს ერთი წევრი აღწერს დასმული კითხვის შინაარსს და აანალიზებს კითხვაზე კანდიდატის პასუხის შინაარსსაც, საბჭოს სხვა წევრები იგივე მეთოდით რომც არ ახორციელებდნენ შეფასებას, ცხადია, რომ ისინი, ესწრებოდნენ რა კანდიდატის საჯარო მოსმენას, ისმენდნენ შეკითხვებსაც და პასუხებსაც, ამიტომ მათი დაწვრილებით აღწერის გარეშეც მხოლოდ შეფასების და მინიჭებული ქულების ასახვა წერილობით დასაბუთებაში ვერ ჩაითვლება ნაკლის მქონედ, დასაბუთების თვალსაზრისით.
6.1.6. პალატისთვის ისიც ცხადი გახდა, რომ ი ქ–ის საბჭოს არც ერთ წევრს მოუთხოვია სამართლის (კანონის) ამა თუ იმ ნორმის ზეპირად გადმოცემა, რადგან ამგვარი მოტივით

(ანუ, ზეპირად არცოდნის გამო) არც ერთ შემფასებელს განუსაზღვრავს მისანიჭებელი ქულის ოდენობა. ,,ტექნიკური ხასიათის“ კითხვებად ვერ იქნება მიჩნეული სამოქალაქო სამართლის როგორც მატერიალური, ასევე - საპროცესო ნორმების შესახებ კითხვები. მაგალითად, მომჩივანს დაესვა კითხვა: ,,რა კატეგორიის დავებს განიხილავს სამოქალაქო დარგის მაგისტრი მოსამართლე“, რასთან დაკავშირებითაც, მომჩივანმა ვერ მიუთითა კანონით გათვალისწინებული ჩამონათვალიდან ვერც ერთ კატეგორიაზე და მისი პასუხი შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი განმარტებით.

6.1.7. რაც შეეხება მომჩივნის მითითებას, რომ საბჭოს წევრმა დ გ-ა აშკარად არასწორ ფაქტებზე დაყრდნობით შეაფასა მომჩივანი. ამ მითითების საფუძველი გახდა დ გ-ს შეფასებაში გამოყენებული ფრაზა: ,,რადგან მას არ გააჩნია არათუ მოსამართლედ, არამედ - საერთოდ სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება მაინც, მიჭირს დავასკვნა, რომ ი- ქ–ი, მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში, სრულყოფილად გაუმკლავდება ამ რთული საქმიანობისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს.“.

აშკარაა, რომ შემფასებელი გულისხმობს საერთო სასამართლოების სისტემას, რადგან შეფასების 2.1.1 პუნქტში თვითონვე უთითებს, რომ ი ქ–ს აქვს სპეციალობით მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება და ამჟამად არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის ერთი სასამართლო, რომელსაც არ გააჩნია ტერიტორიული ან ინსტანციური ნიშნით გამოყოფილი სასამართლოები; ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს სასამართლოთა სისტემას. ცალსახაა, რომ სწორედ საერთო სასამართლოები არიან გაერთიანებულნი სისტემაში, როგორც ამას ორგანული კანონის მე-2 მუხლიც განსაზღვრავს. შესაბამისად, შემფასებელი აშკარად გულისხმობდა ი ქ–ის სამუშაო გამოცდილების არარსებობას საერთო სასამართლოების სისტემაში.

6.1.8. როცა კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,წერის უნარის“ შეფასების მიზნით, საბჭოს წარმოუდგენს საკუთარ ნაშრომს, ამ ნაშრომის გრამატიკულ გამართულობაზე და შინაარსზეც პასუხისმგებლობას თავად კისრულობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ აზრი დაეკარგება ნაშრომის წარმოდგენას. ამიტომ, მომჩივნის მცდელობა - სასვენი ნიშნების შეცდომით გამოყენება და აზრის რთული წინადადებებით გადმოცემა გადააბრალოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალის სტილისტს, არარელევანტურია და გაზიარებული ვერ იქნება.

6.1.9. მომჩივანი აკრიტიკებდა საუკეთესო 9 კანდიდატს შორის სანიმუშოდ აღებული 3 კანდიდატის: გ- გ–ს, ლ თ-ს და გ ა-ს ინტერვიუების მიმდინარეობას და შედეგებს.

პალატა აღნიშნავს, რომ თითოეული ადამიანი არის ინდივიდი, რის გამოც ობიექტური რეალობის აღქმის ხარისხიც სხვადასხვა ადამიანში შეიძლება განსხვავებული იყოს, ასევე - განსხვავებული იყოს აღქმული ვითარების შეფასების უნარიც. ამიტომ, მომჩივნის და საბჭოს წევრთა აღქმები, შეფასებები, შესაძლოა, არ დაემთხვას ერთმანეთს, ისევე, როგორც საბჭოს წევრთა შეფასებებიც არ არის იდენტური თუნდაც მომჩივანთან მიმართებით. მთავარი არის ის, რომ საბჭოს ყველა წევრი, სწორედ მათი დამსახურების (პიროვნული მახასიათებლების, კომპეტენციის) გამო გახდნენ კონსტიტუციური ორგანოს წევრები და, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მიენიჭათ კანდიდატთა შეფასების უფლებამოსილება.

ამასთან, საკონკურსო პროცედურის ფარგლებში კონკურსანტებთან გასაუბრების პროცესი დინამიურია და სრულად მისი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, როცა კონკურსანტთან გასაუბრება გრძელდება რამდენიმე საათის განმავლობაში, შეუძლებელია: საბჭო კოლეგიური

ორგანოა და კანდიდატის საჯარო მოსმენისას, მის მიერ გაცემული პასუხების შინაარსიდან გამომდინარე, საბჭოს წევრს ბუნებრივად უჩნდება სურვილი - დამატებით დაუსვას კითხვა, დააზუსტოს პასუხის შინაარსი, განახორციელოს კითხვის მოდიფიცირება და ა.შ. თუ ამ პროცესში ვინმეს (თუნდაც სხვა კანდიდატს) გაუჩნდება აღქმა, რომ კანდიდატს მარტივ შეკითხვებს უსვამენ, ეს არ უნდა იქნეს შეფასებული კანდიდატებთან თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევად.

რაც შეეხება ე.წ. აგენტ-პროვოკატორთან დაკავშირებით ლ თ-ს პასუხის შეფასებას საბჭოს წევრ ნ ქ-ს მხრიდან. როგორც ლ თ-ს საჯარო მოსმენის მასალებით ირკვევა, კანდიდატმა, ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხის ჩამოყალიბებისას, ისაუბრა არა საქართველოს საკონსტიტუციო, არამედ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტურ პრაქტიკაზე. ამდენად, საბჭოს წევრის შეფასებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე მითითება ტექნიკური შეცდომაა და შეფასების შინაარსს არსებითად არ ცვლის.

ყოველი აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ დასახელებულ კანდიდატებთან მიმართებით საბჭოს წევრთაგან კომფორტული გარემოს შექმნის შესახებ მომჩივნის პრეტენზიები დაუსაბუთებელია.

6.1.10. რაც შეეხება მომჩივნის მიერ პალატის სხდომაზე დამატებით გაჟღერებულ პრეტენზიებს (იხ: 2.1.7 პუნქტი).

საქმის მასალებით და საბჭოს წარმომადგენელთა განმარტებით დადგინდა, რომ მომჩივნის მიერ მითითებულ რეკომენდატორთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

ორგანული კანონის 34^2 მუხლის მე-9 პუნქტი განსაზღვრავს კანდიდატის შესახებ საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესს კანდიდატისათვის, რათა კანდიდატი გაეცნოს ინფორმაციას და, სურვილისამებრ, წარუდგინოს საბჭოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები. ამასთან, განსაზღვრულია, რომ ამ ინფორმაციას კანდიდატი ეცნობა საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილას.

მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა - მითითებული წესით შეევსო მასზე მოპოვებული არასრული ინფორმაცია ან გაებათილებინა არასწორი ინფორმაცია. შესაბამისად, მისი პრეტენზია, რომ მის მიმართ არასრული ინფორმაცია იქნა საბჭოს მიერ მოძიებული და, პანდემიის გათვალისწინებით, საბჭომ მას აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონული ფორმით არ გადაუგზავნა, არის ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელი.

6.1.11. პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ შეუძლებელია - საბჭოს წევრებს ამომწურავად აღერიცხათ და შეეფასებინათ ყველა კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების ხარვეზები/უსწორობები. მაგალითად, მომჩივანთან საჯარო მოსმენა გაგრძელდა დაახლოებით 225 წუთის განმავლობაში; ასეთ პირობები, დასმულ ყველა შეკითხვაზე კანდიდატის მიერ გაცემული ყველა პასუხის დეტალური ანალიზის გადმოცემა შეფასებაში არაგონივრული და მიზანშეუწონელიც იქნებოდა. თვალსაჩინოებისათვის, ყურადღება გამახვილდა რამდენიმე პასუხზე, რომლის ანალიზითაც სრულებით შესაძლებელი აღმოჩნდა - შეფასებულიყო კანდიდატის კომპეტენტურობის დონე, ორგანული კანონით განსაზღვრული მახასიათებლების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მომჩივნის მტკიცება საბჭოს წევრთა შეფასებების და, შესაბამისად, საბჭოს გასაჩივრებული განკარგულების დაუსაბუთებლობის შესახებ უსაფუძვლოა და გაზიარებული ვერ იქნება.

6.2. მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ:

6.2.1. ი ქ-ა განაცხადა, რომ მისი დაბალი ქულებით შეფასება გამოწვეულია საბჭოს საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისადმი მისი კრიტიკული დამოკიდებულებით, რაც განსხვავებული აზრისადმი საბჭოს წევრთა შეუწყნარებლობას და, შესაბამისად, მომჩივნისადმი დისკრიმინაციულ მოპყრობას ადასტურებს.

6.2.2. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა, პირობების შექმნა ან პრაქტიკა, რომელიც პირს გარკვეული ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, თუ ამგვარი ქმედება არ ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები არათანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

6.2.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება, ანუ, თუ არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ან თუ არ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება ლეგიტიმურ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის (მაგალითად, იხ: Mizzi v. Malta, №26111/02; Petrovic v. Austria, №20458/92 და ა.შ.).

6.2.4. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს: დაცული სფერო - უფლება, რომელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი - ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ დაცულ სფეროს.

6.2.5. რაც შეეხება მტკიცების ტვირთის განაწილებას:

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მას შემდეგ, რაც მომჩივანი დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა, დაამტკიცოს, რომ იგი გამართლებული გახლდათ (მაგალითისათვის, იხ: Chassagnou and Others v. France [GC], №25088/94, №28331/95);

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3] მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

6.2.6. საქმის მასალებით (მათ შორის - ი ქ-ს საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერით) დგინდება, რომ ი ქ-ა:

ა) მასთან საჯარო მოსმენის დაახლოებით 83-ე წუთზე განაცხადა, რომ კარგად არ იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, თუმცა - რა პრაქტიკასაც გაეცნო, მიიჩნია, რომ ამ სასამართლოს გადაწყვეტილებები არ აკმაყოფილებს სათანადო დასაბუთებულობის სტანდარტებს;

ბ) მასთან საჯარო მოსმენის დაახლოებით 98-ე წუთზე გააკრიტიკა საბჭოს საქმიანობა, იმ თვალსაზრისით, რომ საბჭოს საქმიანობაში უფრო მაღალი სტანდარტები უნდა იქნეს მიღწეული, ვიდრე მხოლოდ ,,კანონის არდარღვევაა". ამის შემდეგ, მასთან გასაუბრება კიდევ გაგრძელდა დაახლოებით 130 წუთის განმავლობაში.

6.2.7. თუ გავაანალიზებთ საბჭოს წევრთა შეფასებებს, მკაფიოდ ირკვევა, რომ ხარვეზიანად ან არასწორად მიჩნეული პასუხები, რამაც განაპირობა საბჭოს წევრთა მიერ ი ქ-ს შეფასება

დაბალი ქულებით, დაფიქსირდა როგორც უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისადმი და საბჭოს საქმიანობისადმი კრიტიკის გამოთქმამდე, ისე - ამ კრიტიკის გამოთქმის შემდეგ. მაგალითად, ,,იდეათა თავისუფალი ბაზრის" თეორიის შესახებ შეკითხვა მომჩივანს დაესვა მასთან საჯარო მოსმენის მე-13 წუთზე, რაზე გაცემული პასუხიც საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს ხარვეზიანად (კანდიდატმა განაცხადა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო 10-წლიან პრაქტიკას იცნობს ძალიან კარგად; თუმცა, ვერ გაიხსენა, რომ ამ თეორიის შესახებ მსჯელობა ასახულია ერთ-ერთ საქმეში ,,ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სწორედ მომჩივნის იმავე სასამართლოში საქმიანობის პერიოდში; უფრო მეტიც, მომჩივანმა განაცხადა, რომ ასეთი თეორიის შესახებ არც სმენია) და, შესაბამისად, საფუძვლიანად შეაფასეს დაბალი ქულებით.

6.2.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მომჩივნისათვის რაიმე განსაკუთრებული სირთულის (მომჩივნის მითითებით, ,,ტექნიკური ხასიათის") კითხვების დასმა და მისთვის არადამაკმაყოფილებელი შეფასებები არ ყოფილა განპირობებული მისი განსხვავებული, კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირებით. სამწუხაროა, რომ მომჩივანი უსაფუძვლოდ და მსგავსი ხერხის გამოყენებით, როგორიცაა კონსტიტუციური ორგანოს წევრთა მიმართ ბრალდება კანდიდატებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ, შეეცადა მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღწევას, რაც, რასაკვირველია, პალატის მხრიდან ვერ იქნება გაზიარებული.

6.3. საბჭოს წევრთა მიკერძოების შესახებ:

6.3.1. ი ქ-ა განაცხადა, რომ საბჭოს წევრები მიკერძოებულნი იყვნენ მოსამართლე კანდიდატების მიმართ, რადგან შერჩეული 9-ვე კანდიდატი მოქმედი მოსამართლეა; შესაბამისად, არ ჰქონდათ მიმღებლობა ისეთი კანდიდატების მიმართ, რომელიც რაიმე ფორმით მაინც არ იყვნენ დაკავშირებულნი საერთო სასამართლოების სისტემასთან.

6.3.2. პალატისათვის და, ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების საკითხებით ობიექტურად დაინტერესებული პირებისათვის ცნობილია, რომ მსოფლიოში აპრობირებულია ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში ე.წ. კარიერული წინსვლის პრინციპით (ე.ი. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დაწინაურებით) გამწესება.

თუმცა, ეს მოცემულობა არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში მოქმედი მოსამართლეები პრეფერენციებით უნდა სარგებლობდნენ.

6.3.3. მომჩივნის მტკიცება მოსამართლე კანდიდატებისათვის პრეფერენციების მინიჭების შესახებ ალოგიკურად გამოიყურება იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ სხვა, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი - ნ პ-ი საბჭოს წევრებმა შეაფასეს უფრო მაღალი ქულებით, ვიდრე - მოქმედი მოსამართლე კანდიდატები, რის შედეგადაც ნ პ-ი, 33 კანდიდატისგან შემდგარ სარეიტინგო სიაში გავიდა მე-19 ადგილზე, რითაც აჩვენა 7 მოქმედ მოსამართლესა (გ კ-ი, გ ბ-ა, დ გ–ი, თ ბ-ე, გ მ-ე, ი ა-ე და ლ თ-ე) და 2 სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატზე (მ კ–ი და ი- ა–ი) უკეთესი შედეგები. აღსანიშნავია, რომ იმავე სიაში მომჩივანი გასულია 31-ე ადგილზე.

6.3.4. აღნიშნული მსჯელობიდან და საქმის მასალების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე, არ დგინდება საბჭოს წევრთა მიკერძოებული მიდგომა შერჩევის პროცედურაში მოსამართლე კანდიდატთა მიმართ უპირატესობის მინიჭების გზით: მხოლოდ ის ფაქტი, რომ პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადასული 9-ვე კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე, ვერ იქნება საბჭოს წევრთა მიკერძოების დამადასტურებელი;

მომჩივანს კი არ განუხორციელებია მიკერძოების რეალურად დამადასტურებელი გარემოებების არსებობის შესახებ დამატებითი და არგუმენტირებული მტკიცება, არ წარმოუდგენია მტკიცებულებები ამ გარემოებათა დასადასტურებლად, რის გამოც პალატა ვერც ამ ნაწილში მიიჩნევს მომჩივნის მოსაზრებებს დასაბუთებულად.

6.4. პროცედურის სხვა არსებითი დარღვევების შესახებ:

6.4.1. ი- ქ-ა, პროცედურის სხვა არსებითი დარღვევების არსებობის დასადასტურებლად, განაცხადა, რომ საბჭოს წევრებმა კანდიდატებს დაუსვეს სხვადასხვა სირთულის შეკითხვები, რითაც დაარღვიეს ყველა კანდიდატისადმი თანაბარი მოპყრობის პრინციპი და არაკომფორტული გარემო შეუქმნეს მომჩივანს, მისი განსხვავებული და კრიტიკული მოსაზრებების გამო.

ამ გარემოებებზე პალატამ უკვე იმსჯელა ზემოთ (იხ: ამ გადაწყვეტილების 6.1-6.3 პუნქტები); ამიტომ, განმეორებითი მსჯელობის განვითარება გადაწყვეტილების ამ ნაწილში მიზანშეუწონელია.

6.4.2. ი- ქ-ა გამოთქვა ვარაუდი, რომ საბჭოს წევრებს შეკითხვები მოუმზადეს სხვა პირებმა (შესაძლოა - საბჭოს აპარატის თანამშრომლებმაც) და რომ ამ შეკითხვების შინაარსი შესაძლოა ცნობილი ყოფილიყო სხვა კანდიდატებისათვის.

პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომჩივნის ეს ვარაუდი დარჩა კიდეც დაუსაბუთებელ ვარაუდად: საბჭოს წარმომადგენლებმა კატეგორიულად უარყვეს კანდიდატებისათვის დასასმელი შეკითხვების მომზადების პროცესში საბჭოს აპარატის ჩართულობა, რადგან ამგვარი ჩართულობა არც გამომდინარეობს საბჭოს აპარატისათვის ორგანული კანონით დაკისრებული ფუნქციებიდან; მომჩივანს კი არ წარმოუდგენია არავითარი მტკიცებულება იმ გარემოებების დასადასტურებლად, რომ საბჭოს წევრებს შეკითხვები მოუმზადა საბჭოს აპარატმა და თანაც ისეთ პირობებში, როცა შეკითხვების შინაარსი დაცული არ იყო გამჟღავნებისაგან.

6.4.2. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივნის მტკიცება პროცედურის არსებითი დარღვევებით წარმართვის შესახებ უსაფუძვლოა.

6.5. პალატის შემაჯამებელი დასკვნა:

6.5.1. ორგანული კანონის 34^3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, პალატა საქმის განხილვის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) საბჭოს განკარგულების უცვლელად დატოვების თაობაზე; ან - ბ) საბჭოს განკარგულების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

6.5.2. საქმის განხილვის შედეგად, მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის, საბჭოს წევრთა მიუკერძოებლობის პრინციპის და კანდიდატთა საჯარო მოსმენის/შეფასების პროცედურის არსებითი დარღვევების (მათ შორის - დაუსაბუთებელი შეფასებების განხორციელების) გარემოებათა არსებობა არ დადასტურებულა; ამიტომ, მომჩივნის მოთხოვნა გასაჩივრებული განკარგულების გაუქმებისა და საბჭოსათვის ყველა კანდიდატის ხელახლა შეფასების დავალების შესახებ დაუსაბუთებელია და ვერ დაკმაყოფილდებოდა.

6.5.3. შესაბამისად, პალატამ, იხელმძღვანელა რა ორგანული კანონის 34^1, 34^2, 34^3, 35^1, და 36^3 მუხლებით, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოს გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^3, 36^6 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ი- ქ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულება;
3. საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: **მერაბ გაბინაშვილი**

მოსამართლეები: **მამუკა ვასაძე**

ვლადიმერ კაკაბაძე